TIEMME
ORIGINAL ITALIAN TRADEMARK

კომპაქტური მრავალზონიანი გამანაწილებელი ჰიდრომოდული

პირდაპირი და შერეული მიწოდება გათბობის სისტემებისთვის (2 პირდაპირი + შერეული)

აღწერა

Tiemme-ის მრავალზონიანი განაწილების ჰიდრომოდული უზრუნველყოფს მოწოდებული ცხელი წყლის შესაბამის ნაკადსა და წნევას გათბობის იმ ყველა კონტურში, რომელიც საჭიროებს დამატებით სიმძლავრეს. ჰიდრომოდულის კომპაქტური ზომები მარტივი გადაწყვეტილებაა შეზღუდული სივრცისთვის. ჰიდრომოდული თავსებადია 35 კილოვატამდე კედლის ქვაბებთან. **შერეული ზონის გამოყენებით შესაძლებელია ქვაბიდან მიღებული ტემპერატურის შეცვლა და მორგება გათბობის ზონის მოთხოვნის შესაბამისად.** გამანაწილებელში ინტეგრირებული ჰიდრავლიკური გამყოფი უზრუნველყოფს ქვაბის განცალკევებას გათბობის ზონებისგან, რაც მათ ჰიდრავლიკურად დამოუკიდებელს ხდის. ჰიდრომოდული მოიცავს მეტალის ყუთში მოთავსებულ ყველა აუცილებელ კომპონენტს, რომელიც საჭიროა ცალკეული გათბობის ზონების ფუნქციონირებისთვის. თითოეული ზონა სტანდარტულად აღჭურვილია Grundfos UPM3 Hybrid, ErP-Ready საცირკულაციო ტუმბოთი. თითოეული ზონა გარდა საცირკულაციო ტუმბოსი აღჭურვილია მიწოდებისა და დაბრუნების სარქველებით, უკუსარქველებით და თერმომეტრებით. სისტემის ტექნიკური მომსახურების შემთხვევაში შესაძლებელია უკუსარქველის გამოთიშვა სისტემიდან. თითოეულ სარქველს ინტეგრირებული აქვს სენსორის დასაერთებელი ჭრილი, რაც საშუალებას იძლევა შემოწმდეს ტემპერატურა როგორც მიწოდების, ასევე დაბრუნების მიმართულებით. **უნიკალური დიზაინი საშუალებას იძლევა მაქსიმალურად გამოვიყენოთ სამონტაჟო სივრცე და ამავდროულად გავამარტივოთ შემდგომი მომსახურება.** ჰიდრომოდულის მეტალის ყუთი შეღებილია თერმულად, რომელიც განკუთვნილია კედელზე დასაკიდად ან კედელში ჩასაშენებლად.

უპირატესობები

- ინტეგრირებული ჰიდრავლიკური გამყოფი
- გათბობის სისტემის 3 ზონის მართვის შესაძლებლობა
- პირდაპირი და შერეული ზონების მართვა (თერმოსტატული)
- ქვაბის სიმძლავრე 35 კილოვატამდე
- მაქსიმალური ინტეგრაცია არსებულ სისტემებთან
- სივრცის დაზოგვა
- მაქსიმალური ეფექტურობა
- მონტაჟის ხარჯების შემცირება
- კომფორტი ყველა სივრცეში
- ERP სტანდარტის შესაბამისი

ქვაბული კლიმატი

TIEMME
ORIGINAL ITALIAN TRADEMARK

ტექნიკური სპეციფიკაციები

- **ნომინალური დიამეტრი:** DN20
- **მაქსიმალური სამუშაო წნევა:** 10 ბარი
- **სამუშაო ტემპერატურის დიაპაზონი (მინ-მაქს):** +5 °C + 95 °C (პიკი 110 °C)
- **სითხის თავსებადობა:** წყალი და გლიკოლი (გლიკოლის მაქსიმალური შემცველობა 30%)
- **სისტემის სარქველები:** DN20
- **უკუსარქველის გახსნის წნევა:** ΔP: 2kPa (200 m.c.a.)
- **დაცვის დონე:** IPX0D
- **სპილენძის მილები:** 18 მმ
- **ქვაბის შეერთება:** 3/4” გ/ხ – 320 მმ ცენტრიდან ცენტრამდე
- **გათბობის შეერთება:** 3/4” შ/ხ – 70 მმ ცენტრიდან ცენტრამდე
- **ჰიდრავლიკური გამყოფი/წყლის მოცულობა:** DN50 / 1.5 ლიტრი

პირდაპირი ზონა

- **საცირკულაციო ტუმბო:** Grundfos UPM3 Hybrid 15-70 ErP Ready
- **მაქსიმალური ნაკადი:** 2100 ლ/სთ *
- **მაქსიმალური სიმძლავრე ΔT 20 °C-ზე:** 35 კილოვატი
- **ნარჩენი წნევა 1000 ლ/სთ-ზე:** 0.64 ბარი
- **ელექტრო მოხმარება:** მაქსიმუმ 52 ვატი

შერეული ზონა (ფიქსირებული წერტილი)

- **საცირკულაციო ტუმბო:** Grundfos UPM3 Hybrid 15-70 ErP Ready
- **შემრევი სარქველი:** 1” გ/ხ
- **შემრევი სარქვლის კალიბრაცია:** +20 °C + 55 °C – Kvs 2.3 *
- **მაქსიმალური ნაკადი:** 1300 ლ/სთ *
- **მაქსიმალური სიმძლავრე ΔT 10 °C-ზე:** 14 კვტ.
- **ნარჩენი წნევა 10 00 ლ/სთ-ზე:** 0.38 ბარი
- **ელექტრო მოხმარება:** მაქსიმუმ 52 ვატი

** მითითება - ნარჩენი წნევით: 0.2 ბარი*

ქაბული კლიმატი

TIEMME
ORIGINAL ITALIAN TRADEMARK

კომპონენტების აღწერა



- A ქვაბიდან მიწოდება
- B ქვაბში დაბრუნება
- C ზონა 1 მიწოდება
- D ზონა 1 დაბრუნება
- E ზონა 2 მიწოდება
- F ზონა 2 დაბრუნება
- G ზონა 3 მიწოდება
- H ზონა 3 დაბრუნება

ქაბული
კლიმატი

1. ზონა 1 მიწოდების წერტილი
2. ზონა 1 დაბრუნების წერტილი
3. ზონა 2 მიწოდების წერტილი
4. ზონა 1 საცირკულაციო ტუმბო
5. ზონა 2 საცირკულაციო ტუმბო
6. ჰიდრავლიკური გამყოფი
7. მიწოდების ონკანი
8. მეტალის ყუთი
9. ელექტრო ყუთი
10. ავტომატური ჰაერგამშვები
11. ქვაბში დაბრუნების ონკანი
12. ზონა 3 შემრევი სარქველი
13. ზონა 3 საცირკულაციო ტუმბო
14. ზონა 2 დაბრუნების წერტილი
15. ზონა 3 მიწოდების წერტილი
16. ზონა 3 დაბრუნების წერტილი



ქაბული
კლიმატი

ინსტალაციის მაგალითი

TIEMME
ORIGINAL ITALIAN TRADEMARK



3-ზონიანი გათბობის სისტემა

1. პირდაპირი ზონა, რომელიც იმართება მაღალი ტემპერატურით რადიატორების მომარაგებისთვის;
2. პირდაპირი ზონა, რომელიც იმართება მაღალი ტემპერატურით საყოფაცხოვრებო წყლის რეზერვუარის მომარაგებისთვის;
3. შერეული ზონა, რომელიც იმართება დაბალი ტემპერატურით იატაკქვეშა გათბობის სისტემებისთვის.

სქემის აღწერა

1. კომპაქტური მრავალზონიანი გამანაწილებელი ჰიდრომოდული
2. გაზის ქვაბი ინტეგრირებული საცირკულაციო ტუმბოთი
3. მართვის ბლოკი
4. საყოფაცხოვრებო წყლის რეზერვუარის ინტეგრაციის წრე
5. დაბალი ტემპერატურის გათბობის წრე
6. მაღალი ტემპერატურის გათბობის წრე
7. გარე ტემპერატურის სენსორი თერმორეგულაციისთვის

მონტაჟი / მოვლა / გაფრთხილებები

მონტაჟისა და ტექნიკური მომსახურების სამუშაოებისთვის, გთხოვთ, მიმართოთ პროდუქტის თანდართულ ინსტრუქციის სახელმძღვანელოს, რომელიც ხელმისაწვდომია ქებული კლიმატის ვებ-გვერდზე www.qebuli-climate.ge ან

დაასკანერე

გაფრთხილება: ნებისმიერ ჩარევამდე გათიშეთ კვების წყარო გარე ჩამრთველის მეშვეობით. ჰიდრომოდულის უსაფრთხო და გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად, ტექნიკური მომსახურება უნდა შესრულდეს კვალიფიციური სპეციალისტის მიერ, რომელსაც გააჩნია კანონით გათვალისწინებული ნებართვები.

სს "ქებული კლიმატი" არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერ ავარიასა ან/და დაზიანებაზე, რომელიც გამოწვეულია მოცემული მითითებების უგულებელყოფით ან სისტემის არასწორი გამოყენებით.

წარმოდგენილი ინფორმაცია არ ათავისუფლებს მომხმარებელს ვალდებულებისგან, ზედმიწევნით დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა და საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტები.

ქებული ჯლიმატი